

# საინფორმაციო ფურცელი

**DAAD**

Deutscher Akademischer Austauschdienst  
German Academic Exchange Service

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მისასალმებელი  
სიტყვა 1

სტატიები 2-12

- DAAD – 30 წელი საქართველოში
- საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამა ლოგოს-ტიკაში/სტუ კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სადოქტორო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
- ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი
- თანამშრომლობის პროგრამა გერმანისტიკაში/ თსუ
- სამხრეთ-კავკასიური საზაფხულო სკოლა მეღვინე-ნობისმიმართულებით
- ტრინაციონალური საზაფხულო სკოლა
- ახალი თანამშრომელი DAAD-ში
- იმპრესუმი

## მკირფასო მკითხველო, DAAD-ს ალუმნებო,

30 წლის წინ, 1988 წელს, DAAD-ს პირველი ლექტორი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში პირველად ჩამოვიდა. DAAD-ს აქ ჯერ არავინ იცნობდა. ეს პერიოდი საიუბილეო სადამოწვევ გაიხსენეს. ამ და სხვა თემების შესახებ საინფორმაციო ფურცელი მოგიტხოვრებთ. იმედია, ის თქვენთვის საინტერესო საკითხავი იქნება.

აკადემიურ სფეროში, გერმანია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია, რაშიც DAAD-ს არც თუ ისე მცირე წვლილი მიუძღვის. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა ქართველ სტუდენტებს ჯერ კიდევ 90-იან წლებში შესთავაზა პირველი სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამები, შემდეგ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დააფინანსა გერმანულენოვანი პროგრამა „ეკონომიკა და სამართალი“. 2004 წელს კი DAAD-თბილისის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა. მას შემდეგ არაერთ ქართველს მიეცა შესაძლებლობა, DAAD-ს სტიპენდიით გერმანიაში მიეღო განათლება.

დღესდღეობით DAAD-ს მიერ დაფინანსებული 74 პროექტიდან, რომელიც საუნივერსიტეტო თანამშრომლობას ეხება, 22 ქართულ-გერმანული ინსტიტუციონალური პარტნიორობის პროგრამაა, რაც დაახლოებით 400 ქართველს აძლევს შესაძლებლობას, სწავლისა და კვლევის მიზნით გაემგზავროს გერმანიაში. ყოფილი სტიპენდიატები გერმანია საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობაში ელჩებად და მომავალი თანამშრომლობის მნიშვნელოვან პარტნიორებად გვევლინებიან. საინფორმაციო ფურცელი მათ შესახებაც მოგიტხოვრებთ.



©JLU-Pressstelle / Jonas Ratermann

DAAD-ს ვიცეპრეზიდენტისა და გისენის უნივერსიტეტის პრეზიდენტის რანგში, რამდენჯერმე მომეცა საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. პოზიტიურად გაცემული ვარ აკადემიურ სფეროში არსებული დინამიკით. აქედან გამომდინარე, ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს და გარწმუნებთ, რომ გერმანიასთან აკადემიური მობილობის თვალსაზრისით, DAAD მომავალშიც საიმედო პარტნიორად დარჩება.

წარმატებული თანამშრომლობას იმედით!

თქვენი

პროფ. დოქტ. ჯოიბრატო მუხერჯი

გისენის უნივერსიტეტის პრეზიდენტი  
DAAD-ს ვიცე-პრეზიდენტი



საკონსულტაციო საათები  
DAAD-ს თბილისის  
საინფორმაციო ცენტრში:

ორშაბათი, ოთხშაბათი,  
ხუთშაბათი:  
14:00-18:00 სთ.

სატელეფონო  
კონსულტაცია:

ორშაბათი, ოთხშაბათი:  
11:00-13:00 სთ.  
ხუთშაბათი, პარასკევი:  
11:00-12:30 სთ.



მოკლე

მიმოხილვა

DAAD-ს ყოფილი სტიპენდიატი, ბ-ნი ზვიად გაბისონია, SRNSF-ს დირექტორი გახდა



©The National Geographic Magazine - Georgia/ Ira Kurmaeva

ოქტომბრის დასაწყისში DAAD-ს ყოფილი სტიპენდიატი პროფ. დოქტ. ზვიად გაბისონია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შოთა რუსთაველის საქ. ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დირექტორის პოსტზე იქნა წარდგენილი.

DAAD-ს სტიპენდიის ფარგლებში ბ-ნი ზვიადი არაერთხელ იმყოფებოდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში კვლევითი სტაჟირებით.

2017 წლიდან DAAD და შოთა რუსთაველის საქ. ეროვნული სამეცნიერო ფონდი ერთობლივ სტიპენდიებს გასცემს ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

ვულოცავთ ბ-ნ ზვიადს და წარმატებას ვუსურვებთ მას!

### DAAD-30 წელი საქართველოში

DAAD-მ საქართველოში მუშაობის 30 წლის იუბილე აღნიშნა. 4 ოქტომბერს, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში გამართულ საიუბილეო ღონისძიებას, რომელიც დები ნინო და თამარ ჟვანიების მიერ შესრულებული მუსიკალური კომპოზიციით გაიხსნა, DAAD-ს არაერთი ალუმნი დაესწრო. სადამოხე განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით გახლდათ მოწვეული პროფ. დოქტ. ჰელგა კოთოფი (ფრაიბურგის უნივერსიტეტი). ის, DAAD-ს პირველი ლექტორის რანგში, ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, 1988 წელს ჩამოვიდა საქართველოში. ქ-ნმა კოტოფმა და პროფ. დოქტ. ოლივერ რაისნერმა, რომელიც ასევე 1988 წელს, სტუდენტის სტატუსით ეწვია საქართველოს, ბევრი რამ გაიხსენეს (ფოტო N1). „ჩემი ჩამოსვლა დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში არავინ იყო ინფორმირებული გერმანელი კოლეგის ჩამოსვლის შესახებ.



საუბარი თემაზე: DAAD - 30 წელი საქართველოში. ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გებჰარდ როილი, ბარბარა ვატენდორფი, დოქტ. ლიკა ლლონდი, პროფ. დოქტ. ჰელგა კოტოფი, პროფ. დოქტ. ოლივერ რაისნერი.

DAAD-ს ლექტორის ჩამოსვლის საქმეს იმ პერიოდში მოსკოვი (განათლების სამინისტრო) უწევდა კოორდინაციას. როგორც ჩანს, იქ არავინ ჩათვალა საჭიროდ, თბილისელი კოლეგებისთვის DAAD-ს ლექტორატის შექმნის შესახებ ეცნობებინა“ - აღნიშნა პროფ. კოტოფმა. სადამოს მსვლელობისას, რომელიც დოქტ. ლიკა ლლონტს, საქართველოში ერაზმუს+ წარმომადგენლობის ხელმძღვანელს მიჰყავდა, DAAD-ს საინფორმაციო ცენტრის ყოფილმა და მოქმედმა ხელმძღვანელებმა, ქ-მა ბარბარა ვატენდორფმა და ბ-მა გებჰარდ როილმა, საქართველოში DAAD-ს ისტორიის სხვადასხვა ეტაპები გაიხსენეს. სადამო ფურშეტიტა და საიუბილეო ტორტის გაჭრით დასრულდა (ფოტო 2).

გებჰარდ როილი



ღონისძიების ბოლოს პლაკატი „DAAD ჩემთვის არის...“ წარწერებით შეივსო: „მეცნიერება და თავისუფლება“, „ახლის დასაწყისი“, „განსაკუთრებული სამყარო, რომელსაც ქვეყანაში სინათლე შემოაქვს“, „ოჯახი“.



DAAD-ს პირველი ლექტორი საქართველოში, პროფ. დოქტ. ჰელგა კოტოფი საიუბილეო ტორტის გაჭრისას.



საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში გამართულ საიუბილეო ღონისძიებას ბევრი სტუმარი ეწვია.



DAAD-ს სტიპენდიატმა, ბ-ნმა ლაშა ბულაძემ ლიტ. პრემია „საბა“ მიიღო



©Ptolusque

ლიტერატურული კონკურსის „საბა“ წლები დაჯილდოება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში, ქ. ფრანკფურტის მერიაში, 12 ოქტომბერს გაიმართა. ნომინაციაში „წლის საუკეთესო რომანი“ გაიმარჯვა ლაშა ბულაძის ნაწარმოებმა «პატარა ქვეყანა».

2003 წელს TBC ბანკის მიერ დაარსებული ცნობილი ლიტერატურული კონკურსი „საბა“ ამჟამად თოთხმეტ სხვადასხვა ნომინაციას აერთიანებს.

გულითადად ვულოცავთ წარმატებას ბნ ლაშას!

## ლოგისტიკის საერთაშორისო პროგრამა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ლოგისტიკის საერთაშორისო პროგრამა დღემდე უნიკალურია კავკასიის მასშტაბით. მან გერმანული უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანების ხელშეწყობით 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აიღო სტარტი. პროგრამაში ჩართულნი არიან ფლენს-ბურგისა და ბრანდენბურგის პროფესიული უმაღლესი სასწავლებლები, წამყვანი როლი კი ვილდაუს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკისრება. ოთხწლიანი სასწავლო პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტებს ორმაგი აკადემიური ხარისხი მიენიჭებათ კვალიფიკაციით - ინჟინერიის ბაკალავრი ლოგისტიკაში. ამგვარად, აღნიშნული სასწავლო პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოში ლოგისტიკის მიმართულების განვითარებას.

### ლოგისტიკის მიმართულების მნიშვნელობა საქართველოსთვის

ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროგაერთიანებასა და ჩინეთთან, დადებითად აისახა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების წყალობით, საქართველოს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბების უდიდესი პოტენციალი აქვს. (წყარო: გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება).

ლოგისტიკა, როგორც სპეციალობა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობისთვის, არამედ მომიჯნავე სფეროებისთვისაც - სოფლის მეურნეობა და ტურიზმის სფერო მჭიდრო კავშირშია ეფექტური გადაზიდვისა და მიწოდების სისტემის არსებობასთან. ამგვარად, რეგიონში მოთხოვნა ლოგისტიკის სპეციალისტებზე სულ უფრო იზრდება. მიუხედავად ამისა, 2015 წლამდე ამ სფეროში არ არსებობდა თეორიაზე დაფუძნებული განათლების მიღების შესაძლებლობა.

ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამა ბაზრის სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს. მისი სასწავლო გეგმა გულისხმობს, რომ კურსდამთავრებულს, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს ამ დარგის ექსპერტისთვის საჭირო ცოდნა-გამოცდილება, მეორე მხრივ კი, ეკონომიკის სფეროს თეორიული ცოდნა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, შექმნას დამატებითი ღირებულების ჯაჭვი.

### ლოგისტიკის ფაკულტეტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

სასწავლო პროგრამა გერმანული მოდელით რვა სემესტრზეა გაწერილი და პრაქტიკაზე ორიენტაციით გამოირჩევა. იგი მოიცავს მასალისა და საინფორმაციო ნაკადის მართვის, კონტროლისა და დაგეგმარების პროცესს, იქნება ეს მათი შესყიდვის, წარმოების, უტილიზაციისა თუ გასაღების ფაზა. სასწავლო გეგმის შემადგენელი მოდულებია: ტვირთის გადაზიდვა და სავაჭრო ლოგისტიკა, მიწოდების ქსელის მენეჯმენტი, საზღვაო და საჰაერო ლოგისტიკა. ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამა დაფინანსებულია DAAD-ს მიერ, პროგრამის „ტრანსნაციონალური განათლება“ ფარგლებში.

პროფ. დოქტ. გიორგი დობორჯგინიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის კათედრის გამგე, მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამის ექსკლუზიურობა თეორიისა და პრაქტიკის ოპტიმალური კომბინაციითაც არის განპირობებული. სტუდენტები სწავლის ადრეულ ეტაპზე პრაქტიკის ფარგლებში ერთვებიან სამუშაო პროცესის ყოველდღიურობაში და შესაბამისად, საშუალება აქვთ, პრობლემათა გადაჭრის პრაქტიკულ მეთოდებს გაეცნონ. ეს კი საქართველოს რეალობაში სტუდენტისთვის ნამდვილი ფუფუნებაა.

უნიკალურია აგრეთვე პროგრამის საერთაშორისო კონტექსტი. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლის ბოლო წელი გერმანიაში გაატარონ. ამ პერიოდის განმავლობაში, ისინი ერთი სემესტრი ვილდაუს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო საწარმოში გადიან პრაქტიკას, მეორე სემესტრს კი რომელიმე გერმანულ საწარმოში ატარებენ. მიმდინარე სემესტრის დასაწყისში პირველი ოთხი სტუდენტი უკვე გაემგზავრა ვილდაუსში.

**მოკლე მიმოხილვა**

DAAD-ს ყოფილი სტიპენდიანტი, ქ-ნი ირინე ჩიხლაძე, გერმანიაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩია



მიმდინარე წლის ნოემბერში, ქ-ნი ირინე ჩიხლაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩად დასახელდა.

ირინე ჩიხლაძე DAAD-ს სამგზის სტიპენდიანტია. ამჟამად ის მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე.

წარმატებას ვუსურვებთ ქ-ნ ირინეს სამეცნიერო კარიერასა და ახალი, მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში!

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, მათ მიენიჭებათ ვილდაუსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების ორმაგი ბაკალავრის დიპლომი ლოგისტიკის ინჟინრის სპეციალობით. გერმანული საწარმოს სტრუქტურის გაცნობის, ევროპაში დამყარებული კონტაქტებისა და შეძენილი ცოდნის წყალობით, კურსდამთავრებულები სამომავლოდ დიდ წვლილს შეიტანენ საქართველოში ლოგისტიკის სფეროს განვითარებაში.

**გერმანელი სტუდენტების სტუმრობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და გერმანული უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობა ორმაგი ხარისხის მოპოვებასთან ერთად ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ორმხრივ მოხილობას - ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს ეწვია ვილდაუს ტექნიკური უნივერსიტეტის სამი სტუდენტი სატრანსპორტო ლოგისტიკის პროფ. დოქტ. ჰერბერტ ზონთაგის ხელმძღვანელობით. სტუმარმა სტუდენტებისთვის ჩაატარა სალექციო კურსი „ტვირთბრუნვა ლოგისტიკაში“ და იმავდროულად გამოცდილება გაუზიარა ქართველ და გერმანელ სტუდენტებს.



ვიზიტის ფარგლებში საქართველოში ჩამოსული გერმანელი სტუდენტი, ჰანა ვაიდემანი (მე-4 კურსი) თავისი შთაბეჭდილებების შესახებ: „ქართველი სტუდენტები შინაარსობრივად იმავე თემებზე მუშაობენ, რომლებზეც ჩვენ. მათ აქვთ ჩვენი მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფა და ამავე დროს არაჩვეულებრივად ფლობენ გერმანულ ენას.“ მისი თანაკურსელის, სვეა ჰენცშელის განცხადებით კი: „აქ ყველას ძალიან კარგი დონე აქვს, ლოგისტიკის თვალსაზრისით ქართველი სტუდენტები ნამდვილად წინ არიან!“ გარდა ლექციებისა და ერთობლივ პროექტებზე მუშაობისა, სტუდენტებს არც კულტურული პროგრამა დაეციწყინათ: ისინი, პროფესორებთან ერთად სტეფანწმინდას ეწვივნენ (იხ. ფოტოები). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე სემესტრის სტუდენტი, ნიკოლოზ კაკოიშვილი კმაყოფილია გერმანელი თანატოლების სტუმრობით: „ჩემთვის ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გერმანელი სტუდენტები აღფრთოვანებული არიან საქართველოთი. ეს ურთიერთობა ძალიან საინტერესო იყო და კიდევ უფრო დიდი მოტივაცია მომცა მომავალი წლისთვის ვილდაუს სტიპენდიის მოსაპოვებლად. თუ შევძლებ და გავემგზავრები გერმანიაში, ვიცი, რომ იქ უკვე მეგობრები მელოდებიან.“

**მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამომავლოდ ყოველმხრივ ეცდება, შეინარჩუნოს აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ერთი წინაპირობაა, რათა პროგრამის ხარისხი დაფინანსების დასრულების შემდეგაც შენარჩუნდეს. გარდა ამისა, იგეგმება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის კავკასიაში უნიკალური (ერთადერთი) ლოგისტიკის ლაბორატორიის შექმნა, რომელიც მომავალში მთელ რეგიონს მოემსახურება.

ალექსანდრა კურინგი

ექსკურსია სტეფანწმინდაში/ყაზბეგი ფოტო: ალექსანდრა კურინგი

## კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰალტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა

27 სექტემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ოფიციალურად აღინიშნა ლემან-ჰალტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის დაწყება, რომელსაც გიოტინგენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ბაზაზე ჩაეყარა საფუძველი. სადოქტორო პროგრამას სახელი აღმოსავლეთმცოდნე ლემან-ჰალტის საპატივცემულოდ ეწოდა, რომელმაც სტუდენტობის ნაწილი გიოტინგენში გაატარა, იმავე უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია (1883) და მოგვიანებით არაერთი კვლევა განახორციელა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მონაწილე თორმეტი დოქტორანტი სამეცნიერო თემებზე თბილისსა და გიოტინგენში იმუშავებს. სადისერტაციო თემებს უხელმძღვანელებენ როგორც ქართველი, ისე გერმანელი პროფესორები. დოქტორანტებს საბოლოოდ ორმაგი სადოქტორო ხარისხი მიენიჭებათ. ქართველ დოქტორანტებს 2018 წლის გაზაფხულზე უკვე ჰქონდათ გიოტინგენის უნივერსიტეტში კვლევის ჩატარებისა და თავიანთი გერმანელი პროფესორების გაცნობის შესაძლებლობა. გარდა პროფესიული გამოცდილებისა, ისინი ეზიარნენ მასპინძელი ქალაქისა და ქვეყნის კულტურას და შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ საქართველოში.

ლემან-ჰალტის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტთა მოხილობის გარდა გათვალისწინებულია სამეცნიერო თემების ხელმძღვანელების შეხვედრები თბილისსა და გიოტინგენში. ამ სახით პარტნიორ მხარეებს შესაძლებლობა მიეცემათ, უკეთ გაიცნონ პარტნიორ უნივერსიტეტებში მიმდინარე კვლევები, ნახონ თუ რა გზას გადის დოქტორანტი სამეცნიერო ხარისხის მიღებისათვის და გააფართოვონ სამეცნიერო კონტაქტები. აგვისტოს თვეში საქართველოს უკვე ეწვია გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტ. მიხაელ მიულერი (საუნივერსიტეტო მედიცინა, ნეირო- და აქმის ფსიქოლოგიის განყოფილება).

წლის ბოლომდე კიდევ არაერთი ვიზიტია დაგეგმილი. საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა დოქტორანტების გარდა ახალგაზრდა მეცნიერებსაც აფინანსებს: მოკლევადიანი სამეცნიერო პროექტის „ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი“ ფარგლებში ოთხი პოსტ-დოკი დაფინანსდა. მათ საშუალება მიეცემათ, უხელმძღვანელონ დოქტორანტებს და დამოუკიდებლად მოამზადონ/ჩაატარონ ქოლოკვიუმები დოქტორანტებისათვის. ამჟამად, ამავე გრანტის ფარგლებში, მიმდინარეობს კვლევა ეკოლოგიის მიმართულებით. პროგრამის მიზანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც სამომავლოდ დოქტორანტთა სწავლების თანამედროვე სტანდარტებს დაამკვიდრებს, რაც თავის მხრივ მეცნიერთა მომავალი თაობების ფორმირებას შეუწყობს ხელს. გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ეს პროექტი ერთი მილიონი ევროს ბიუჯეტით (ოთხი წლის ვადით) დააფინანსეს ფოლქსვაგენისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა!

მარტინ პიაცენა



კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰალტის პროგრამის მონაწილე დოქტორანტები.  
ფოტო: მარტინ პიაცენა

ცოდნა აახლოებს

## ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი (GGSB)

ქართულ - გერმანული სამეცნიერო ხიდი (GGSB) 2004 წლიდან არსებობს. ის იულისის კვლევითი ცენტრისა და ქართული და გერმანული უნივერსიტეტების კონსორციუმის ერთობლივ აქტივობებს უწევს პატრონაჟს. სამეცნიერო ხიდი ორივე ქვეყნის მეცნიერებისა და სტუდენტების დაახლოებას ისახავს მიზნად, რაც კვლევითი პროექტებით, განათლების სფეროში პარტნიორობითა და გაცვლითი პროგრამებით მიიღწევა. ეს პროცესი თავისთავად უწყობს ხელს ორი კულტურის კიდევ უფრო დაახლოებას.



სამეცნიერო ხიდს პატრონაჟს უწევს იულისის კვლევითი ცენტრი, რომელიც ევროპის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ფონდს წარმოადგენს. ცენტრი ინდერდისციპლინარურ კვლევებს აწარმოებს ჯანდაცვის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ინფორმაციის სფეროში.

## შექმნის ისტორია

მრავალწლიან ურთიერთობებს საფუძველი ჯერ კიდევ 1992 წელს ჩაეყარა, გერმანელი მეცნიერის, იულისის კვლევითი ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექტორის, ოტო შულტისა და ბ-ნი მიხეილ გიორგაძის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თაოსნობით. ყველაფერი ბირთვული ფიზიკის სფეროს ერთობლივი პროექტებით დაიწყო. თანამშრომლობა თავდაპირველად სამეცნიერო კადრების მობილობით და ლიტერატურის/ტექნიკური აღჭურვილობის გაცვლით შემოიფარგლებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ თსუ აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა პროექტებში, რისი დაგვირგვინებაც სამეცნიერო ხიდის შექმნა იყო (2004), რომელიც უკვე ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს ქმნიდა გერმანია-საქართველოს მომავალი თანამშრომლობისთვის. დღესდღეობით სამეცნიერო ხიდის კონცეფციაში იულისის კვლევითი ცენტრის ხუთი ინსტიტუტია ჩართული შემდეგი სამეცნიერო სფეროებით: ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, საინჟინრო მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სფერო, კლიმატისა და ნეიტრონების კვლევა.

ქართული მხრიდან სამეცნიერო ხიდს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა.

## GGSB-ს აქტივობები

გარდა ერთობლივი პროექტებისა GGSB-ს გაცვლით და საგანმანათლებლო პროგრამებსაც აფინანსებს. 2010 წლიდან ქართველ მეცნიერებს შეუძლიათ იმუშაონ თავიანთ სამეცნიერო თეზისზე იულისის კვლევით ცენტრში. ამ კოოპერაციის ფარგლებში DAAD-მ დღემდე ათი სტიპენდიატი დააფინანსა, რომლებიც იულისში კვლევის მიზნით სამი თვის ვადით გაემგზავრებიან. გარდა ამისა, სამეცნიერო ხიდის მონაწილე მხარეები მხარს უჭერენ მობილობას საერთო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში, გერმანიის უნივერსიტეტებში: აახენი, ბონი, კიოლნი, ასევე ე.წ. Cotutelle-Programm-ებს, ორმხრივ სადოქტორო პროგრამებს.

ქართველ მეცნიერთა გრძელვადიანი დასაქმების მიზნით, 2016 წელს თბილისში შეიქმნა ე.წ. SMART-ლაბორატორიები. ახალი კვლევითი ლაბორატორიები ახალგაზრდა, იულისიდან ჩამოსული სამეცნიერო კადრებისთვის კვლევის გაგრძელების არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა. ამჟამად თსუ-ს ბაზაზე ორი ასეთი ლაბორატორია არსებობს უმცირესი ნაწილაკებისა და კლიმატის კვლევის სფეროში.



SMART - ში წარმოდგენილია მეცნიერება, მედიცინა, გამოყენებითი მეცნიერებები და ტექნოლოგიები.

ერთობლივი აქტივობების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია სემინარები, ვორქშოპები და სამეცნიერო აკადემიები, რომლებიც რეგულარულად ტარდება და რომელთა ფარგლებშიც კვლევის მიმდინარე შედეგების წარდგენა და თემატიზება ხდება. წელს, 20-25 აგვისტოს თბილისში უკვე მეთექვსმეტე მოეწყო გერმანულ-ქართული საზაფხულო სკოლა „Science at multi-disciplinary SMART-Labs in Georgia“.

მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც საერთაშორისო ექსპერტებმა, ასევე ქართველმა მეცნიერებმა და სტუდენტებმა. საზაფხულო სკოლამ წარმატებით ჩაიარა - მისი მონაწილე საუკეთესო თერთმეტი სტუდენტი იულისის ცენტრში ერთთვიანი პრაქტიკისთვის შეირჩა.

### ამჟამინელი წარმატება და სამეცნიერო ხიდის მომავალი პერსპექტივები

სამეცნიერო ხიდის დაარსებიდან თითქმის თხუთმეტი წლის შემდეგ სახეზეა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, ორმოცზე მეტი კურსდამთავრებული ერთობლივი პრაქტიკების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე საქართველოში მოქმედი ორი სამეცნიერო ლაბორატორია. მომავლისთვის, ქართულ უნივერსიტეტებში იგეგმება კიდევ დამატებითი **SMART** - ლაბორატორიების გახსნა.

სამომავლო თანამშრომლობის ძირითად ფოკუსს მეცნიერთა ახალი თაობის აღმოჩენა წარმოადგენს. იულისის კვლევით ცენტრში მოსწავლეთა ლაბორატორიაში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებები, ახალგაზრდა თაობაში საბუნებისმეტყველო საკითხების მიმართ ინტერესის გაღვივებას ითვალისწინებს. მომავლისთვის იგეგმება სამეცნიერო ხიდის გაფართოება რეგიონალური მასშტაბით. მეზობელი ქვეყნების ჩართულობით, ახლო მომავალში შესაძლებელია კავკასიურგერმანული სამეცნიერო ხიდის შექმნა.

*ალექსანდრა კურინგი*



ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის, მე-8 საზაფხულო სკოლის მონაწილეები.  
ფოტო: გებჰარდ როილი

## ინსტიტუციური თანამშრომლობის პროგრამა გერმანისტიკის სფეროში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებს შორის: გაცვლა ლიტერატურის, მედიის და დარგობრივი კომუნიკაციის სფეროში

ცოტა ხნის წინ, საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თარგმნისა და თარჯიმნობის ინსტიტუტს შორის. პარტნიორული პროგრამის ძირითადი მიმართულება მთარგმნელობითი მეცნიერებაა, რაც თავის მხრივ ერთგვარი გამოძახილია ქართულ სამუშაო ბაზარზე არსებული მოთხოვნისა. თანამშრომლობა ათ წელზეა გათვლილი და სამწლიანი ფაზებისგან შედგება: პირველ ეტაპზე (2018-2020) დაინერგება სამაგისტრო მოდული „კულტურის ტრანსფერი ლიტერატურას, მედიასა და დარგობრივ კომუნიკაციაში.“ ამ მიზნით ჩატარდება კონკრეტული ღონისძიებები, როგორებიცაა სასწავლო გეგმის განვითარება, სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდა, სტუდენტების დაფინანსება, სემინარების ჩატარება, თსუ-ში ქოლოქვიუმებისა და ვორქშოპების ორგანიზება, ერთობლივი საკვლევო თემების შემუშავება, ბიბლიოთეკის აღჭურვა თანამედროვე, დარგობრივი ლიტერატურით, კათედრის უზრუნველყოფა სინქრონული თარგმნისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით.

პარტნიორული პროგრამის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ ქართულ მხარეს უნდა შეეძლოს ახალი სამაგისტრო მოდულის სასწავლო გეგმაზე დამოუკიდებელად მუშაობა; ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დაწყება.

მეორე ფაზის დასრულების შედეგად (2021-2024) უნდა შეიქმნას ქართულ-გერმანული მთარგმნელობითი კორპუსი, რომელიც დაფუძნებული იქნება პუბლიკაციებზე და ერთობლივი სადოქტორო თემების წარმატებით დასრულებაზე.



დანიელ მორეტი (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი) სემინარზე თსუ-ში

მესამე ფაზის განვლის შემდეგ (2024-2027) შეიქმნება თანმიმდევრობითი სტრუქტურა „ბაკალავრიატი, ორიენტირებული თარჯიმნობის მოდულზე => მაგისტრატურა კულტურის ტრანსფერი“. ორივე მათგანი კი მომავლის პერსპექტივაში სტრუქტურას „ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა“ უზრუნველყოფს.

პროექტის გლობალური მიზანია, ქართულ მხარეს ჩამოუყალიბოს კომპეტენციათა მთელი რიგი, რომელიც შემდგომში ამ დარგის სპეციალისტების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას შეძლებს, იქნება ეს საუნივერსიტეტო სივცრის, კერძო სექტორისა თუ, ზოგადად, სამუშაო ბაზრისთვის. რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების მიზნით, პარტნიორული პროგრამა ქართულ და გერმანულ უნივერსიტეტებს შორის ითვალისწინებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებში სამხრეთ კავკასიელი, განსაკუთრებით კი სომეხი კოლეგების ჩართვას. მსგავსი სემინარები მოიცავს ენათმეცნიერების, მთარგმნელობითი მეცნიერების, დარგობრივი თარგმანის, მედიის მიმართულების და სინქრონული თარგმანის თემებს.

პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა - ხუნდაძე



## ახალი თანამშრომელი DAAD-ში ალექსანდრა კურინგი

ჩემი სახელია ალექსანდრა კურინგი. უკვე თვენახევარია, რაც DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრში ვმუშაობ პროგრამის kulturweit ფარგლებში. ცოტა ხნის წინ დავასრულე საბაკალავრო კურსი „მედიის კვლევა და პრაქტიკა“, რომლის ძირითად ფოკუსს საზოგადოებრივი მედიის პირობების, სახეობების, შინაარსისა და შედეგების კვლევა წარმოადგენს.

სწავლის პერიოდში დრეზდენი იყო ჩემი სამყოფელი. თუმცა ჩემოდნის ჩალაგებაც კარგად მეხერხება - გარდა საზღვარგარეთის სემესტრისა, რომელიც პოლონეთში გავიარე, ახალგაზრდულ შეხვედრებზე ბევრჯერ გახლდით უკრაინასა და რუსეთში. ამ პერიოდში მიღებულმა გამოცდილებამ პიროვნულად გამზარდა და დამაფიქრა, როგორ უნდა შევიტანო საკუთარი წვლილი გლობალურ სამშვიდობო თანაცხოვრებაში.

DAAD-ში მუშაობა საშუალებას მაძლევს, გავუზიარო სხვა ახალგაზრდებს ჩემი გამოცდილება და მათ საზღვარგარეთ სწავლის, საერთაშორისო სივრცეში მოხვედრის მოტივაცია ავუმაღლო. თავიდანვე გავეცანი DAAD-ს სასტიპენდიო პროგრამების ფართო სპექტრს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მიხარია, რომ მომავალი თვეების განმავლობაში კიდევ უფრო გავიღრმავებ გამოცდილებას და სხვადასხვა სახის სამუშაოს გავართმევ თავს.

DAAD-ს პარალელურად ვმუშაობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ლოგისტიკის ფაკულტეტის (დაფინანსებულია DAAD-ს მიერ) სტუდენტებთან. ადფრთოვანებული ვარ მათი ენერჯით, ინტერესითა და გულღიობით.

არანაკლებ ამაღლელებელია ჩემთვის თბილისში ცხოვრება. ჩემი დიდი სურვილია, უკეთ გავიცნო საქართველოს რეგიონები, ზოგადად ქართული კულტურა და ადამიანები.



საკონტაქტო ინფორმაცია

ალექსანდრა კურინგი

პრაქტიკანტი  
პროგრამის kulturweit ფარგლებში  
გერმანიის UNESCO-ს კომისია

DAAD- თბილისის  
საინფორმაციო ცენტრი  
ზანდუკელის ქ. 16  
0108 თბილისი

kuring-kulturweit@daad.org.ge

www.ic.daad.de/tbilissi



DAAD Georgia

## სამხრეთ კავკასიის საზაფხულო სკოლა „მეღვინეობა“

17-21 სექტემბერს, თბილისში ჩატარდა გაიზენჰაიმის უნივერსიტეტის და, საქართველოსა და სომხეთის აგრარული უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთაშორისო საზაფხულო სკოლა თემაზე „მეღვინეობა“. საზაფხულო სკოლის პროგრამა მოიცავდა ოთხდღიან სემინარს ღვინის მარკეტინგის შესახებ, ასევე ერთდღიან ექსკურსიას ღვინის სხვადასხვა მწარმოებლებთან. საზაფხულო სკოლის ოცდარვა მონაწილეს შორის იყვნენ პარტნიორი უნივერსიტეტების, აგრეთვე შვეიცარიისა და იტალიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ეკონომიკისა და მეღვინეობის სფეროდან. პროგრამის მიზანს სწორედ ამ ორი დისციპლინის პრაქტიკაში ერთმანეთთან დაახლოება, ერთობლივი კვლევების მიმართ ინტერესის გაღვივება, ამასთანავე, გაიზენჰაიმის უნივერსიტეტსა და კავკასიის ორ უნივერსიტეტს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენდა.

დოქტ. სოფია ღვანიძის თქმით, რომელიც ამჟამად გაიზენჰაიმის უმაღლეს სასწავლებელში საერთაშორისო მარკეტინგის მენეჯმენტს ასწავლის, მეცნიერთა ორმხრივი გაცვლა, კავკასიაში მეღვინეობის შემდგომი განვითარების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს. საზაფხულო სკოლა დაფინანსდა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროგრამის „საზაფხულო სკოლები საზღვარგარეთ“ ფარგლებში.

*ალექსანდრა კურინგ*



ფოტო: დოქტ. სოფია ღვანიძე

## საზაფხულო სკოლის პროექტი „ტრინაციონალური სასწავლო და საკონსულტაციო ჯგუფები“

7-17 სექტემბერს კობლენცის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ათდღიან პროგრამაში „Stand up for Start-Up in Georgia“ იყვნენ ჩართული. სემინარში, გერმანელების გარდა, ქართველი და აზერბაიჯანელი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. კულტურათა დაახლოების გარდა, სემინარის მიზანს წარმოადგენდა ტრინაციონალურ სტუდენტურ ჯგუფში სტარტაპების თემაზე მუშაობა. პროექტის მოსამზადებელ ფაზაში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, ესარგებლათ ქართველი და გერმანელი დოცენტების მიერ შემოთავაზებული სასემინარო კურსებით, ჩართულიყვნენ მოხსენებებში ისეთ თემებზე, როგორცაა ინოვაციური მენეჯმენტი, ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში. სემინარის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე საწარმო, მათ შორის სასტუმრო „ხოხოზი“, სადაზღვევო კომპანია „ალფა“ და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორი „Forsports“. საწარმოებმა სტუდენტებს გააცნეს მათთვის აქტუალური საკითხები. სტუდენტურმა ჯგუფებმა შეიმუშავეს პრობლემის გადაჭრის გზები. ორი დღე მათ საწარმოში დაჰყვეს, აკვირდებოდნენ სამუშაო პროცესებს, აწარმოებდნენ გამოკითხვებს და მონაწილეობას ღებულობდნენ სამუშაოს მიმდინარეობაში. პრობლემის მოგვარების განხილული მეთოდები სტუდენტებმა დასკვნით ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს გააცნეს.

მათ შორის იყვნენ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და კობლენცის უნივერსიტეტის პროფესორები, პროექტში მონაწილე საწარმოს თანამშრომლები, DAAD-სა და საგარეო სავაჭრო პალატის, ასევე გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები. სტუდენტები კმაყოფილი იყვნენ მუშაობის შედეგებით. მათი მხრიდან განსაკუთრებით გაესვა ხაზი ახალი გამოცდილების მიღებას და კოლეგებთან დაახლოებას. პროგრამის მონაწილეთა თქმით, ეს პოზიტიურად აისახა თითოეული მათგანის პირად განვითარებაზე. პროგრამის მონაწილეებისთვის მოეწყო ექსკურსიები მცხეთაში, უფლისციხესა და კახეთში. ამან კიდევ უფრო დაახლოვა სამი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები. მადლობას ვუხდით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო უწყებას და DAAD-ს პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი დაფინანსებისთვის.

ლეა კორდუსი და ალექსანდრე პისკალერი (კობლენცის უმაღლესი სასწავლებელი)



## საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

26 სექტემბერს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფესტივალის „მეცნიერება და ინოვაცია“ ფარგლებში ოთხ გერმანელ პროფესორს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება: პროფ. დოქტ. ტიციანა ჯ. ჩუიზი, ზაარლანდის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის, რომაული სამართლისა და ევროპული შედარებითი სამართლის კათედრის ხელმძღვანელი, დაჯილდოვდა თსუ-სთან აქტიური თანამშრომლობისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ხელშეწყობისათვის. ამავე დამსახურებისთვის მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება კიდევ ერთ იურისტს, დოქტ.

ჰანს პრიუტინგს, კოილნის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის ემერიტუს პროფესორს. გიოტინგენის უნივერსიტეტიდან მათემატიკის ორ პროფესორს, რალფ მაიერსა და ინგო ვიტს მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება მათი მრავალწლიანი მხარდაჭერისა და მათემატიკის სფეროში (თსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში) ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის ჩამოყალიბებისათვის.

თსუ-ს პრესრელიზი: [https://www.tsu.ge/en/main\\_news/mf7\\_7v0MI8Cy49DZi/](https://www.tsu.ge/en/main_news/mf7_7v0MI8Cy49DZi/)

გებჰარდ როილი



საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფოტოზე: პროფ. დოქტ. ინგო ვიტი, პროფ. დოქტ. რალფ მაიერი, გიორგი შარვაშიძე (თსუ-ს რექტორი), პროფ. დოქტ. ტიციანა ი. ციუსი, პროფ. დოქტ. ჰანს პრიუტინგი

### საინფორმაციო ფურცელი მოამზადა:

DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრი  
 ზანდუკელის ქ. 16. 0108 თბილისი  
 სამართლებრივი წარმომადგენელი დოქტ. დოროთეა რულანდ  
 Deutscher Akademischer Austauschdienst e.V.,  
 Kennedyallee 50  
 D-53175 Bonn

ტელ: + 995 32 920 926  
 ელ-ფოსტა: [info@daad-org.ge](mailto:info@daad-org.ge), [info2@daad-org.ge](mailto:info2@daad-org.ge)  
[www.ic.daad.de/tbilisi](http://www.ic.daad.de/tbilisi)

### ორგანიზაციის სათავო ოფისი:

ქ. ბონი (გერმანია)  
 დარეგისტრირებულია ბონის საქალაქო სასამართლოს მიერ  
 სასამართლოს რეესტრი VR 2015

რედაქტორები: გებჰარდ როილი, დოქტ. ნინო ანთაძე, თამარ ლაცაბიძე

### პასუხისმგებლობა:

ჩვენ პასუხს არ ვაგებთ მესამე პირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. იმ გვერდების შინაარსზე, რომელსაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა ბმულის საშუალებით გაეცნობა, პასუხისმგებელია უშუალოდ მათი მომწოდებელი.  
 Copyright © by DAAD e.V. საინფორმაციო ფურცლის შინაარსი დაცულია საავტორო უფლებებით. ტექსტების გამოყენება, ისევე როგორც მცირე პასაჟებისა და ფოტოების, DAAD-ს წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

გამოწერის გაუქმება: თუ არ გსურთ საინფორმაციო ფურცლის მიღება, მოგვწერეთ: [info@daad.org.ge](mailto:info@daad.org.ge)